# სახალხო გაზეთი

№ 576 სამშაბათი, 17 აპრილი, 1912 წ. № 576


**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს" ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


**კნეინა სოფიო ლევანის ასული ერისთავი** ულრმეს მადლობას უცხადებს ყველას, ვინც კი განსვენებულ მის მეუღლის

## თ-დ ზაქარია გიორგის ძე ერისთავის

ხსოვნას პატივი სცა. (1.372.1)

---

სოფელ **ისულაში** გარდაიცვალა შტაბს-კაპიტანი

## ბახვა პეტრეს ძე სალაყაია,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია იმავე სოფელში ოთხშაბათს, 18 აპრილს, შუა დღის 12 საათზე, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი მიცვალებულისა მარიამ** და **შვილი ალექსანდრე სალაყაია.** (1.371.1)

---

**მეუღლე მალხაზ ბეჟანის ძე სიმონია, დედა დესპინე დავითის ასული მიქაძისა. გამზდელი ალექსი გრიგორის ძე შარტავა მეუღლით ელისაბედით და და აგრაფინა ოქროპირის ასული მიქაძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 15 აპრილს

## მარიამ ოქროპირის ასულის სიმონიასას

დაკრძალვა დღეს, 17 აპრილს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 საათზე. ანდრეევის ქ. 78. (1—374—1)

---

**ეკატერინე ივანეს ასული, გიორგი ილარიონის ძე და პელაგია ილარიონის ასული კანდელაკები, ანასტასია ილარიონის ასული მალალაშვილისა და მარიამ ილარიონის ასული კუხიანიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველის ძვირფასი მამამთილის, ხოლო დანარჩენთა დაუვიწყარის მამის წმ. მარინის ეკკლესიის ყოფილ დიაკვნის

## ილარიონ ივანეს ძის კანდელაკისას

ცხედარი მოსვენებული იქნება ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში დღეს, 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე და გადახდილ იქნება პანაშვიდი, ხოლო წირვა და ანდერძი ხვალ, 18 აპრილს, ამავე ეკლესიაში დილის 9½ საათ. (1—375—1).

---

**ბარბარე დავითის ასული კნ. ხიდრიბეგიშვილისა, სოფიო ქაიხოსროს ასული ფავლენიშვილისა და კონსტანტინე როსტომის ძე ხიდრიბეგიშვილი,** გულითადის მწუხარებით უცხადებთ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის დისა, მეორე მულისა და მესამე ცოლის დისა

## მაგდან დავითის ასულისას ტერიევისას.

გვამს გამოასვენებენ 17 აპრილს **სოფელს ერედვში** წმინდა გიორგის ეკლესიაში. (1—1210—1)

---


**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ქლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—203)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—34).

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—17)

---

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**

ოთხშაბათს, 18 აპრილს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

**მსხვერპლი** სცენა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ანტუანეტა, ბეჟანოვა, ელენე—ლი, ბადრიძე, გოდერძი, გარეკახელი, კახელი, რომანიშვილი-დგებუაძე, ყორიშვილი, ბ-ნნი გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე ბიაშვილი, ნ. გოცირიძე, გაგუნაშვილი, გელიკურაშვილი, ნარი, კულაშელი, ინაშვილი, რომანიშვილი, სვანელი, სალაყაია, მაჭავარიანი, სანდალა, ა. მეტრეველი, მეტეხელი, ნინიძე, ძნელაძე, ს. პეპანოვი, შანშიევი, ჩიქოვანი, ხონელი, ხახანაშვილი, ჯაბაური, ყაზბეგი, ყასიმაშვილი, ჭანკვეტაძე, ჭელიძე, ჭიაურელი, ფრონის-პირელი, ალ. წუწუნავა, ფრანგიშვილი და სხ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 5 კ.-დან 50 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის თორმეტიდან 2-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. შემდეგი წარმოდგენები 22 და 27 აპრილს წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე", „ლალატი". ადმინისტრატორი ს. ჯუღელი, მორიგი წევრი გამგეობისა ს. თავდიშვილი, რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** (2—1174—1)

---

**ახალი კლუბი**

შაბათს, 21 აპრილს 1912 წ. **4-ე სიმფონიური კრება**

მონაწილეობას მიიღებს გამოჩინებული არტისტი-მესკრიპკე **იაროსლავ კოციანი.**

ადგილების ფასი თეატრში **ხელმისაწდომია** — პარტერში 2 მ. და 20 კ-დან 60 კ-მდე. გალერეიაში 60-დან 25 კ-მდე. (1—1192—1)

---

**ხაფუძვლიან გადაკეთებების შემდეგ გაიხსნა ახალ პატრონთა ხელში გადასული**

**კაფე-პარიზი**

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. — 1—5 ს. — 5—2 ს

**საუზმე**—30 კ. **სადილი.** **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ლომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—12)

---

**ყურადღება!**

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ**

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის",

25 ცალი 15 კ. დ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

**„ძმ. სეილანოვები",**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.21)

---

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

**„გრდემლი"**

**ფასი** 1 მ. 50 კ. (თ.1098.58)

---

**ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების**

**ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო**

გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—1 ს. ბიბლ.-სამკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—2)

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი ვ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—315)

---

სტამბა **„ბეჭდვითი საქმე"** ბ. კილაძისა

1912 **წლ. 1 მაისამდე** მართავს ხელის მოწერას ცნობილ **მსოფლიო პოეტის**

**ჰენრიხ ჰეინეს**

**რჩეულ ლექსებზე.** ✦ **ჭ. ო—ლიას თარგმანი.** ✦ წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს ბიოგრაფია,** სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, წიგნი დაახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის დაბეჭდვის შემდეგ წიგნი ეღირება **ერთი** მან. **წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდებათ მაისის დამლევს.** ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: გაზ. „თემის" რედაქციაში, წ.-კ. საზოგადოების წ. მაღაზიაში, ბ. კილაძის სტამბაში ველიამ. 6, ზუბალაშვილების სამკითხველოში, მარო რამიშვილთან, მარო ჟღენტთან, რახილი კალანდაძესთან, ფილიპე მგელაძესთან. **ქუთაისში:** ის. კვიცარიძესთან, **ბათუმში:** გრ. სოლოროვთან, გ. თავართქილაძის სტამბაში, **ფოთში:** ანტონ ჟღენტთან, გერმანე იმნაიშვილთან, **ჭიათურაში:** ალ. მითაიშვილთან, **გურიაში** ემელიანე ლომთათიძესთან, ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія В. Киладзе, Вельяминовская № 6. (6.373.1)

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

**ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში**

**ფ. ს. ფილიპპოვისა,**

ალექსანდროვ. ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის" გვერდით.

**საზოგადოების სურვილით**

**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**

**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.9) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

---

**ქ უ თ ა ი ს ი**

შუაგულ ქუთაისში, **„მწვანე ბაზარში", ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

**„ბრისტოლი",** მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

**ფასები ზომიერია.** **ქ უ თ ა ი ს ი** (25.1194.4)

---

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

**ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 281)

---

**გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა**

**მასწავლებელმა**

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსოვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.139)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

---

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

---

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**პროფ. სუბბოტინი.** ქირურგ. ავად ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—1 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1032—76).

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წლ.—1018—253)

---

**ექიმი** პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.92).

დოქტორი მედიცინისა
**ი. ე. თიქანაძე**
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 146)

**ექიმი** კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.17)

**ექიმი** ვ. **მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** შ. ა. **მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი** ე. **ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—73.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—72)

**ექიმი** ე. ი. **მინასიანცი**
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Muthieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—140

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

# ტფილისი, 17 აპრილი

**პროვინციის ქართული გაზეთები.** გაზეთების ცნობებით, მაისიდან ქალაქ გორში ქართულ ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემას აპირებენ. როგორც ამას წინად გვატყობინებდნენ, გაზეთის გამოცემას აპირებენ სიღნაღშიაც. ვინც გაზეთის გამოცემის საქმეს კარგად იცნობს, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეხედავს ამ ამბავს. ეჭვი რამდენადმე საფუძვლიანი იქნება. ჩვენდა საუბედუროდ, საეჭვოდა ჰხდება ისიც კი, შეუძლიან თუ არა საკუთარი ქართული გაზეთი იქონიოს ისეთმა ქალაქმაც კი, რანაირიც ქუთაისია. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი ეჭვი უსაფუძვლოა. ქუთაისში ორი ქართული გაზეთი გამოდიოდა. დროებითი შეჩერება გაზეთებისა არაფერსა ჰნიშნავს. ეტყობა, ქალაქ ქუთაისს შეუძლიან ორი ქართული გაზეთი შეინახოს და უკეთესი ობიექტიურ პირობებში კიდეც განვითარდეს. ესევე შეიძლება ითქვას ბათომზე. ტფილისის გაზეთები საზოგადოდ ბათომში ბევრი არ მიდის, მაგრამ თავის გაზეთს კი ინახავს. დროთა ვითარებით, როდესაც ქართველი ხალხი ეკონომიურად მოღონიერდება, როდესაც წერა-კითხვა გავრცელდება და საზოგადოდ ხალხი გამოცოცხლდება, ისეთს ქალაქებშიაც კი გაჩნდება გაზეთები, სადაც დღეს კანტიკუნტად ტფილისის ერთი-ორი გაზეთი თუ მიდის.

პროვინციის გაზეთებს თავიდანვე დიდს მოთხოვნილებას ვერ წარვუდგენთ. საზოგადოდ ჩვენი ცხოვრება იმნაირადაა მოწყობილი, რომ ინტელიგენცია სოფელს დაშორებულია. ინტელიგენტურ ძალთა სიმცირე შეუძლებლად გახდის გაზეთის ფართოდ წარმოებას პროვინციაში, მაგრამ ეს გაზეთები მაინც დიდს სამსახურს გაუწევენ ქართველ ხალხის გათვითცნობიერებას. იგი კითხვას შეაჩვევს საზოგადოებას. თავის მახლობელ ცხოვრებით პროვინციელი დაინტერესებულია.

ტფილისის გაზეთს ვერ შეუძლიან ისე ხელმიწვდენით გააშუქოს ადგილობრივი საკითხები, როგორც ამას ადგილობრივი გაზეთი მოახერხებს. გაიბმება მტკიცე კავშირი პრესასა და საზოგადოების შორის, ამით საშუალო მკითხველის ჰორიზონტიც გაიშლება და გაღვიძება ინტერესი საზოგადოდ პრესასა და მწიგნობრობისადმი. პროვინციის პატარა ფურცელი, გაზეთის სახით გამოცემული, პროვინციისა და ცენტრის ბუნებრივ დამაკავშირებლად გადაიქცევა. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ მივეგებოთ ასეთს განზრახვას.

მხოლოდ ერთი რამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ. დღევანდელ პირობებში გაზეთის გამოცემა ძალიან ძნელია; იგი, ფულის გარდა, დიდს შრომასა და ენერგიას მოითხოვს. როდესაც ამა თუ იმ ქალაქში გაზეთის გამოცემის აზრი იბადება, ინიციატორნი ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდნენ საქმეს, ყოველის მხრით ასწონ-დასწონონ გარემოება, რათა ერთხელ დაწყებული საქმე თავიდანვე მტკიცე საფუძველზე დააყენონ. პირველ ხანებში ბევრი დაბრკოლება გადაეღობებათ წინ, მაგრამ, თუ საქმე მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული, დაბრკოლებათა ძლევაც მოხერხდება...

## ქართული პრესა

ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში მომხდარ ამბების გამო გაზეთი „თემი“ სწერს:

„ქუთაისიდან ძალიან სამწუხარო ამბები მოდის იქაურ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის შესახებ. ამ სასწავლებელში ბევრი ისეთი ამბები მოხდა, რომელთაც კარგა ხანია უნდა მიეზიდა ყურადღება როგორც მთავრობისა, ისე საზოგადოებისა. მაგრამ ახლანდელ ყოველგვარ გულ-გრილობის დროს თვით ის საზოგადო დაწესებულებანი სდუმან, რომელთ მოვალეობას შეადგენს ხმის ამოღება. ნუ თუ ქუთაისის თავად-აზნაურობას და ქალაქის სამმართველოს არ შეეხება ზემოხსენებულ სასწავლებლის ცხოვრების წესიერი სვლა და ბედ-იღბალი? განა იმათი შვილები არა სწავლობენ იქ? ნუ თუ იმათ ყურამდის არ მიაღწია იმ ამბავმა, რომ სასწავლებელში დამყარებულმა უწესოებამ იმსხვერპლა უკვე რამდენიმე ადამიანი“?

„თემი“-ს აზრით, თავად-აზნაურობა და ქალაქის თვით-მმართველობა მოვალენი არიან ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს, შეადგინონ ვრცელი მოხსენება საქმის მიუდგომლად გამორკვევის შემდეგ, აირჩიონ დეპუტატები და შეატყობინონ აქაურ უმაღლეს მთავრობას საქმის ნამდვილი ვითარება.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ს.—პეტ. ვედ.“-ში დაბეჭდილია ნ. დურნოვოს წერილი ტფილისის „გოლოს კავკაზა“-ს საპასუხოდ. ნ. დურნოვო სწერს:

„გოლოს კავკაზა“-ს არაგზით არ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია ყველა მართლ-მადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა თვალში. ჯერ ისევ განსვენებულ ეგზარხოსს ნიკონს ეთქვა ცნობილ ქართველ ისტორიკოსის ა. ა. ცაგარელისთვის, მე შევადგინე პროექტი საქართველოს ეკლესიის დარღვეულ უფლებათა აღსადგენათაო. ცრუ-პატრიოტულ გაზეთს უნდა მოეხსენებოდეს, რომ რუსეთის საეკლესიო კრებას ვერ შეუძლიან გვერდი აუქციოს საქართველოს ეკლესიას და დაარღვიოს მისი თავისუფლება. იმ ადგილას, სადაც დიდუბის ეკლესია იმყოფება, ხუთი რუსის ეკლესიაა. ეს ეკლესია ქართველებს ჩამოართვეს და გადასცეს რუსებს, რათა ამით საშუალება მოესპოთ ქართველებისთვის თავის ენაზე ლოცვისა“.

დურნოვო ეხება სხვა მონასტრებისა და ეკლესიების მდგომარეობასაც და შემდეგ დასძენს:

ქართველებს არაფერი არა აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ ტფილისში რუსი ეგზარხოსი იყოს. დაე იმან იქ იცხოვროს, მაგრამ მაინც უფლება არა აქვს განაგოს ეკლესიებით, რომელთა სამწყსო ენა მან არ იცის დროა „გოლოს კავკაზა“-მაც შეიგნოს ეს ჭეშმარიტება“

## სახელმწიფო სათათბირო
### დეპეშები

(საზონოვის სიტყვის დასასრული)

პეკინის მთავრობაც უარს არ ჰყოფდა ჩვენს უფლებას მონგოლეთზე და გვპირდებოდა: რა ცვლილების მოხდენასაც კი განვიზრახავთ მონგოლეთში, მანამდე გაცნობებთო. ეხლა კი ჩინეთის მთავრობა სცდილობს მონგოლეთი ჩინეთის რესპუბლიკას დაუმორჩილოს და ხალხელთ ჰპირდება მოქალაქობრივ უფლებათა გათანასწორებას. ეს გარემოება ჩვენ ხელს არ გვიშლის ჩვენს მიზანს მივდიოთ მონგოლეთში იმ ფარგლებში, რომელიც თანაბრად გვაინტერესებს ჩვენცა და მონგოლთაც. ურგის ხუტუხტამ გადმოგვცა იმ პასუხის შინაარსი, რომელიც მას იუანშიკაისათვის შეუთვლია: ჩინეთ-მონგოლეთის მორიგების საქმეში რუსეთიც უნდა ერიოს და შეთანხმების პირობებიც საერთოდ შემუშავდესო. ჩვენის მხრივაც ვაცნობებთ იუანშიკაის ჩვენი უმთავრესი სამი პირობა, რომელიც სარჩულად უნდა დაედოს ჩინეთისა და განაპირამონგოლეთის დამოკიდებულებას: ჩინელებმა ხელი უნდა აიღონ განაპირა მონგოლეთში ადმინისტრაციის მოწყობაზე, იმ მიდამოებში ჯარიარ უნდა ჩააყენონ და განაპირა მონგოლეთის ფარგლებში ჩინეთის ახალშენები არ მოაწყონ. ბატონებო, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რუსეთი ევროპიული ქვეყანაა. ჩვენი სახელმწიფო ჩაისახა არა შავ ირტიშის კიდეებზე, არამედ დნეპრისა და მოსკოვის მდინარეთა ნაპირებზე. საფლობელის გადიდებას აზიაში მიზნად ვერ დავისახავთ: ეს დაასუსტებდა ჩვენს მდგომარეობას ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში. აზიაში რაიმე ქვეყნის შემატება მხოლოდ მაშინ იქნება ღირსეული ნაბიჯი, თუ იგი აუცილებელია და ნამდვილს ღირებულებას წარმოადგენს. ვერ ვიტყვი, რომ ჩრდილო მონგოლეთის შემოერთება ასეთ რასმეს წარმოადგენდეს. ჩვენი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ მონგოლეთში ფეხი არ მოიკიდოს სამხედრო საქმის მხრივ ძლიერმა სახელმწიფომ: მონგოლთა მეზობლობით ჩვენი ციმბირის მოსაზღვრე ადგილები უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე მაშინ, რომ მთელს მიჯნაზე ციხე-სიმაგრეები ჩაგვეშენებინა და ძლიერი ჯარი ჩაგვეყენებინა. სწორედ ასეთ მდგომარეობის გაგრძელება წარმოადგენს რუსეთის დიპლომატიის საზრუნავს. ამას კი მხოლოდ ხალხას შემოუერთებლად მოვახერხებთ: ჩვენ მფარველობა უნდა გავუწიოთ ხალხაში მონგოლებს, რომელთაც ჰსურთ თავისებურობის და არსებულ წესწყობილების შერჩენა; ამასთანავე ჩინეთთანაც არ უნდა დავარღვიოთ კეთილმეზობლური განწყობილება. რა რყევა და ცვლილებაც უნდა მომხდარიყოს ჩინეთში ამ ბოლო დროს ჩინეთმა კარგად იცის, რომ რუსეთთან კეთილი განწყობილება მისთვის საჭიროა. ამისათვის, ჩემის აზრით წინდაწინვე არჩეულ გზას უნდა მივდიოთ, ე. ი. დაბეჯითებით მოვითხოვოთ რომ ხალხასა და ჩინეთ შორის მოლაპარაკება და შეთანხმება უჩვენოდ არა სწარმოებდეს. ამავე დროს ხალხას უნდა დავეხმაროთ ავტონომიურ წყობილების დამყარებაში, მივეშველოთ ფულით და შეარაღებულის ძალითა, რათა ხალხეთში წესიერება არ დაირღვეს.

ჩვენს დამოკიდებულებას იაპონიასთან ისეთი საიმედო პირი უჩანს, რომელიც ჩემზე წინ მოლაპარაკემ დაგიხატათ. რუსეთ-იაპონიის განწყობილება ემყარება ერთის მხრივ 1907 წელს დადებულ სავაჭრო, სათევზაო ხელშეკრულებათ, რომელთა შემწეობითაც მანჯურიის შესახებ მოვრიგდით, და მეორეს მხრივ ჩვენი განწყობილება უფრო მტკიცე ნიადაგზე დადგა მაშინ, როდესაც ჩინეთში საქმე გართულდა. ერთმანეთს უზიარებთ ხოლმე აზრს და თანხმობით ვმოქმედებთ.

მართლა, მანჯურიაში რუსეთისა და იაპონიის ინტერესები ისე ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ ბუნებრივი მიზიდულება აქვთ შეთანხმებულ მოქმედებისათვის, თავ-თავიანთ ინტერესების დასაცავად. ამ ფაქტის აღნიშვნა არ არღვევს იმ დებულებას, რომელიც მოვიხსენიე ჩვენი ინტერესების გამოსარჩლების აღნიშვნის დროს ჩინეთში: იაპონია არ ერევა ჩვენ მიერ მიღებულ ზომებში იქ, სადაც ჩვენი ინტერესები უფრო თავმოყრილი; აგრეთვე ჩვენს მოქმედების თავისუფლებას არ ვუზღუდავთ იაპონიას ჩინეთის იმ კუთხეში, სადაც იაპონიის ინტერესები ჩვენსასა სჭარბობს.

დასასრულ უნდა შევეხო ჩრდილო ამერიკის შტატების მიერ რუსეთ-ამერიკის შორის 1832 წ. დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობის გაუქმებას 1912 წ. 18/31 დეკემბრიდან. თქვენ უკვე მოგეხსენებათ ამ საქმის ვითარება და დაწვრილებით აღარ შევეხები მას. ვიტყვი მხოლოდ რომ უსაფუძვლოა შტატების მტკიცება ვითომც რუსეთს არ აესრულებინოს ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლი რუსეთი მუდამ პირნათლად ასრულებდა ნაკისრს ვალდებულებას. ამას შეერთებულ შტატების ბევრი მოღვაწეცა გრძნობს. უკეთუ კვლავ აღიძრა კითხვა რუსეთ-ამერიკის ახალ ხელშეკრულების დადებაზე, ჩვენ ვეცდებით არ შევბღალოთ რუსეთის ეროვნული, თავმოყვარეობა და რუსეთის მკვიდრთა ინტერესებზე დავამყაროთ ხელშეკრულობის მუხლნი. იმედი გვაქვს, რო ამერიკელთა სალი გონიერება სამართლიანად დააფასებს საქმის მდგომარეობას და უძველესი მეგობრული განწყობილება რუსეთ-ამერიკის შორის კვლავ განმტკიცდება. ამ სახით კვლავ შესაძლებელი გახდება რუსეთ-ამერიკამ შეთანხმებულად იმოქმედონ იქ, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს ეხება.

აი, ბატონებო, საერთო სურათი ჩვენის საერთაშორისო მდგომარეობისა, რომელიც მთელის გულახდილობით გაგიზიარეთ, ვიმედოვნებ, ჩემის ნათქვამით დარწმუნდებით, რომ უსაფუძვლოა გავრცელებული ხმები ვითომც გაზაფხულიდან საქმე გართულდება და ომიც აუცილებელიაო. თუმცა გარეშე პოლიტიკაში ხშირად მოულოდნელ რამ გარემოებას, რომელსაც წინდაწინვე ვერასგზით ვერ გაითვალისწინებთ, გადამჭრელი მნიშვნელობა ეძლევა ხოლმე, მაგრამ მაინც ჩემს თავს ნებას ვაძლევ ასე დავაბოლოვო ჩემი სიტყვა: ახლო მომავალში გარეშე მშვიდობიანობა არ დაირღვევა და ჩვენ შეძლება გვაქვს არხეინად განვაგრძოთ შინაგანი, შემოქმედებითი, საქმიანობა, რომელსაც ითხოვს ჩვენგან უმაღლესი სურვილი ჩვენის ხელმწიფისა. (ცენტრში ტაშს უკრავენ).

მინისტრის შემდეგ ლაპარაკობს მომხსენებელი **კოვალევსკი** და აღნიშნავს, გარეშე საქმეთა თაობაზე მისისტრის ლაპარაკმა ნათლად დაამტკიცა უმაღლეს მთავრობის წდომა ხალხის წარმომადგენელთადმი. შემდეგ მოლაპარაკე ამბობს: სათათბიროში ბევრი რამ არ იცის, რადგან გარეშე საქმეთა სამინისტროს საამისო ორგანო არა აქვს, არ იცის მაგალითად რაზე იხარჯება ბესარაბიის მამულთა შემოსავალი და რად ჩამორჩა რუსეთი სხვებს საეკლესიო პოლიტიკაში. ამას გარდა, ახალი დრო მოითხოვს ახალ ტიპის დიპლომატთა შექმნას. რუსეთს მონაწილეობა არ მიუღია დიდიხნის შეიარაღებულ მშვიდობიანობის შემდეგ, ურთიერთობათა ლიკვიდაციაში, მაგრამ რუსეთმა ძალა უნდა მოიკრიბოს, სხვა მხრით უნდა მოუაროს საქმესაო (ნაციონალისტები და ცენტრელები ტაშს უკრავენ).

**მილიუკოვი** სალამს აძლევს მინისტრს, რომელმაც ძველი ჩვეულება აღადგინა და სათათბიროს ანგარიში გაუწია. რუსეთის საქმე ეხლა ცუდად არის მახლობელ, შუა და შორეულ აღმოსავლეთში. ყველგან წამოჭიუყენებიათ რუსეთისათვის საგულისხმო საკითხები. გერმანიისა და ინგლისის იდუმალი მეტოქეობაა ის ღერძი, რომლის გარშემოც მთელი ქვეყნის პოლიტიკა ტრიალებს. მეტოქეობას ახალი დრო დაუდგა, როდესაც გერმანიის მადას ინგლისი აშკარად წინაღუდგა, ამ წინააღმდეგობამ უზრუნველჰყო ევროპის მშვიდობიანობა. დიდი გავლენა იქონია ამ საქმეზე სამთა კავშირმაც, რომლის წევრადაც რუსეთი ითვლება. მაგრამ ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი მეორე ხარისხოვან სახელმწიფოთა შეტაკებას. ერთი წლის წინად მე შიშით აღვნიშნე, რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში იწყება მეთქი ხანი ძლიერ პიროვნებათა, რაიც დიპლომატიაში ნაციონალიზმის გამეფებას უნდა ჰნიშნავდეს, საბედნიეროდ ეს რეპუტაცია მინისტრს არ გაუმართლებია, მაგრამ სამწუხაროდ არც სახელი რამე მოუხვეჭია. მხოლოდ მინისტრის ჩამოსვლის შემდეგ დაეტყო მთლიანობა პოლიტიკასაო. ამ საზოგადო შესავალს შემდეგ მოლაპარაკე ბალკანეთს შეეხო: ბალკანეთის სახელმწიფოთა და ოსმალეთის ფედერაციის შექმნა შეიძლება ისე მოხდეს, რომ არც ერთმა სახელმწიფომ, ვერ დასჯაბნოს მეორე და ვერც ავსტრიამ მოიგოს რამეო (მემარცხენეთა ტაში).

სიტყვის დათავება მილიუკოვმა შემდეგი სხდომისათვის გადასდო, მოლაპარაკეებს აღარა სწერენ, ჩაწერილია 20 კაცი.

საღამოს სხდომაზე მიიღეს კანონ-პროექტი 1912 წელს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რიცხვისა. გარდა ამისა მიიღეს 8 კანონ-პროექტი არტილერიისა და საავიაციო რაზმის საჭიროებისათვის.

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

მინისტრთა ლოჟაში გარეშე საქმეთა მინისტრი ზის.

**მილიუკოვი.** გუშინ დაწყებულ სიტყვას ათავებს და თითქმის საათნახევარს ლაპარაკობს. მილიუკოვი ამბობს: ავსტრიასა და რუსეთის ურთიერთობას გაუმჯობესობა ეტყობა, მაგრამ არ ვიცით რა საფუძველზე იქნება დამყარებული შეთანხმება და რანაირად იმოქმედებენ ბალკანეთზე. ბალკანეთის საქმეები ისეა აწეწილ-დაწეწილი, რომ შეიძლება ავადმყოფის ადამიანის ქონების განაწილებასაც შეუდგნენ. როდესაც რუსეთი ბოსნია-ჰერცეგოვინის საქმეში დამარცხდა, ბალკანელებმა თვალი ავსტრიას მიაპყრეს. მინისტრმა სავსებით ვერ დაახასიათა ავსტრია-ჰუნგრიითისა და რუსეთის ურთიერთობა. დარჩა რაღაც იდუმალი, რომელიც დამოუკიდებელ დიპლომატიის საქმეა, მაგრამ თუ გაყოფაზე მიდგა საქმე, რუსეთი დარდანელის საკითხის გადაწყვეტას თუ მოახერხებს, სხვას ვერაფერსა. ამის გამო, რუსეთი არსებულ მდგომარეობის დაცვას უნდა შეეცადოს და ისეთი საკითხი არავის წამოაყენებინოს, რომელიც რუსეთს ავნებს და ოსმალეთის მთლიანობას დაარღვევს. შემდეგ მოლაპარაკე შეეხო სპარსეთის საკითხსა, დაჰგმო სპარსეთის ექსპედიცია და საზღვარ-გარეთის გაზეთების ცნობებით ამტკიცებდა, მთავრობა შაჰად ნამყოფ მაჰმედ-ალის ეხმარებოდა და მოიმდურა არა მარტო რუსეთი, არამედ ინგლისიცაო. რაც შეეხება ურმიას, აქ მართლაც საეროვნო ინტერესები გვაქვს და სამინისტროს მოქმედებას ვერ დავგმობთ.

მილიუკოვი ზოგიერთი შესწორებით ეთანხმება მინისტრს შორეულ აღმოსავლეთის საკითხშიაც. შემდეგ მოლაპარაკე აღნიშნავს: მანჯურიის გამო ერთნაირი წადილი აქვთ რუსეთსა და იაპონიას, მაგრამ მდგომარეობა ვერ არის ერთნაირი: იაპონიას ბევრად ადვილად შეუძლიან წადილის შესრულება, ვიდრე რუსეთსა. რუსეთ-ამერიკის ხელშეკრულების დარღვევას ებრაელთა ქადაგებას კი არ აწერს მოლაპარაკე, არამედ ამერიკელთა გონიერების ნაყოფად მიაჩნია იგი. ვინაიდან შეუძლებელია მსოფლიო კულტურის ოჯახში მახინჯად დარჩენა, როდესაც თვით აზიაც აღიარებს ამ კულტურასა (ძლიერი ხმაურობა ასტყდა მემარჯვენეებში). დაბოლოს მილიუკოვი ამბობს: ვაი იმ ქვეყანას, სადაც დამოუკიდებელ დიპლომატთა ჟინიანობას უწყებაც ეხმარება და ჟინიანობას წინაღუდგება არა ხალხის სურვილი და ინტერესი, არამედ საერთაშორისო დიპლომატიის მოხერხებული მოქმედებაო (ტაში მემარცხენეთა და ცენტრისა).

**მომხსენებელი ანტონოვი** აღნიშნავს დიად მნიშვნელობას კონსულთა სამსახურისას. რუსეთი ამ მხრივ ვერ არის მომზადებული, საჭიროა აღმოსავლეთის ენათა შესასწავლად აკადემიის დაარსება, ცოდნა არა მარტო საერთაშორისო ხელშეკრულებათა, არამედ საკომერციო მეცნიერებისაც, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ვაჭრობის საქმეში. ამნაირი კონსულები დიპლომატიას დიდ სამსახურს გაუწევენო.

**გარეშე საქმეთა მინისტრმა** რამდენიმე შენიშვნა მისცა ანდრონოვსა და შემდეგ აღნიშნა: რუსეთის ბედი ისე მოწყობილა, რომ საეკონომიო მხარე ცხოვრებისა საპოლიტიკოს ყოველთვის უკანა რჩებაო, კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ კონსულები კი არა ჰქმნიან ვაჭრობას, ვაჭრობა ჰქმნის კონსულებს. სადაც საეკონომიო ცხოვრება კარგად მიდის, იქ საკონსულო საქმეც კარგად არის.

**ვოლოდიმეროვი** აღნიშნავს, რუსეთის დიპლომატიის ერთი ნაბიჯიც არ მახსოვს ისეთი, რომ რუსის ნაციონალი ღირსების შემგნებელნი არ დაეღონებინოს და, ეტყობა, შემდეგაც ასე იქნებაო. გარეშე საქმეთა სამინისტროზე დიდი გავლენა აქვთ უცხოელებსაო. მოლაპარაკემ დაჰგმო რუსეთის მოქმედება სპარსეთის საქმეებში: ყაჩაღთა ბრბოს, სპარსეთის მთავრობას არ უნდა დახმარებოდაო. რაც შეეხება ურმიას, ძალიან კარგი შემთხვევაა საზღვრის გაფართოებისათვის; საჭიროა აგრეთვე მონგოლეთის საქმეებში ჩარევა, მინისტრის სიტყვა კი არ ჩარევის ქებათა-ქებაა. (მემარჯვენეთა ტაში).

**გრაფი უვაროვი.** მინისტრმა განაცხადა: სპარსეთის შაჰად ნამყოფს არ დავხმარებივართ, ურჩევდით კიდეც ავანტიურისათვის თავი დაენებებინაო. თუ მინისტრი ასე ჰფიქრობდა, მთავრობის სხვა წარმომადგენელნი, ალბად, სხვასა ჰფიქრობდნენ. რაც შეეხება ავსტრია-ჰუნგრეთისა და რუსეთის ოსმალეთის საქმეების გამო შეთანხმებას, აქაც გაუგებრობაა. როგორ შეიძლება რუსეთი ოსმალეთის ახალ რეჟიმს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ყველა ერთა გათანასწორებას, როდესაც რუსეთში არ არსებობს ასეთი თანასწორობა. დარდანელის შესახებ აი, რას ვიტყვი: ასეთი მდგომარეობა ძალიან სასარგებლოა რუსეთისათვის, რადგან იაპონიასთან ომის დროს დარდანელის გზა გახსნილი რო ყოფილიყო, შავი ზღვის ფლოტი ცუსიმასთან დაიღუპებოდა. დარდანელის გახსნის საკითხს კი ნუ წამოაყენებთ, ბოსფორისა, სტამბოლისა და დარდანელის დაპყრობის საკითხი წამოაყენეთ, მაგრამ თუ ვერ მოგიხერხებიათ, რუსეთის მოწინავე ნაწილი ამისათვის დიდად არ შესწუხდება და არ ინაღვლებს, რადგანაც თუ სტამბოლი, ბოსფორი და დარდანელი ოსმალეთის ხელში დარჩება, რადგან სჯობია სულტს ოსმალეთი ... ისინი, ვიდრე ... ლოს მოლაპარაკემ ... მოსთქვა, გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე ყველა აგენტმა უნდა აგოს პასუხიო.

**შილო.** როგორც შორეულ აღმოსავლეთის წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ მინისტრის სიტყვებმა ვერ დამაკმაყოფილა. პირიქით, იქ საქმე ძალიან აწეწილ-დაწეწილია. ბოლოს მოლაპარაკემ განაცხადა, „შრომის ჯგუფელნი“ წინააღმდეგნი ვართ ხარჯთაღრიცხვისაო (მემარცხენეთა ტაში).

**ჩილიკინი** ამურის მხრის მცხოვრებთა სახელით აღნიშნავს, ჩქარა ჩინეთ-რუსეთის ხელშეკრულებას ვადა გაუვა, ახალი ხელშეკრულება მაინც იყოს ამურის მხარეს მცხოვრებთათვის სასარგებლოო.

**კინდიაკოვი.** უწყების ეხლანდელი აგენტები სრულიად გამოუსადეგარნი არიან და უცხოეთში რუსეთის ქვეშევრდომნი უმწეოდ დარჩენილან. საჭიროა უწყების ძირითადი ცვლილებაო.

**ანდრეიჩუკი** სამინისტროს ურჩევს, ყურადღება მიაქციეთ ავსტრიაში მალოროსების სასტიკად დევნას და რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში შპიონაჟის გავრცელებასაო.

**ტიმოშკინი.** რუსეთის მისსიები მოვალეობას ვერ ასრულებენ რიგიანად. მოლაპარაკემ შემდეგ მოიგონა, კასპიის ზღვა იჯარით უფასოდ 26 წლის ვადით სომეხ ლიანოზოვისათვის მიუციათ, ეხლა კი მილიონ ნახევარს იძლევიანო. ტიმოშკინი სამინისტროს მოუწოდებს, ლიანოზოვის საქმე მოაგვარეთ როგორმეო.

**გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ნერატოვმა** უპასუხა ტიმოშკინსა. სამინისტრო თავის აგენტების მოქმედებას ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურსაო და პასუხსაც მოსთხოვს ხოლმეო.

კენჭის ყრის გამო ლაპარაკობენ **გულკინი და ვიშნევსკი.** დროა რუსეთის დიპლომატიამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს უცხოეთში მყოფ რუსეთის ქვეშევრდომთ, განსაკუთრებით სტუდენტობას, რომელნიც ვერსად პოულობენ დახმარებასაო.

**რასტორგუევი** კითხულობს წერილს, რომელიც იტალიის ქ. ბარს ეხება. იქ დაკრძალული ყოფილა ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედის ცხედარი და ბევრი რუსის მლოცველი მიდის თურმე. ამ ქალაქში რუსეთს კონსული არა ჰყოლია და სამინისტროს უწყებაში აღნიშნული პირი, ხუთი წელიწადია, რაც ბარში ყოფილაო.

**მინისტრის თანაშემწე ნერატოვი** თანახმაა, რომ საკონსულო საქმე მართლაც ვერ არის რიგიანად მოწყობილი და აღნიშნავს, ვსცდილობთ გავაუმჯობესოთ იგიო.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯეტო კომისიის დასკვნით მიიღეს.

მიიღეს აგრეთვე წინადადება, რომლის ძალითაც ფინლანდიაც უნდა მონაწილეობდეს ამ ხარჯში და მეორე წინადადება **კრუპენსკისა** აღმოსავლეთის ენათა აკადემიის დაარსების თაობაზე.

**განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.**

**კაპუსტინი** კითხულობს მოხსენებას განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვისას და აღნიშნავს, თუ რა და რა ტიპის სასწავლებელი გახსნილა ამ ბოლო ხუთ წელიწადში. მომხსენებელმა სთქვა: ამ ხუთს წელიწადში ბევრი უზრუნვიათ პირველ დაწყებითი სკოლებისა და საშუალო სასწავლებელთათვის. უმაღლეს სასწავლებელთათვის კი დიდი ყურადღება არ მიუქცევიათო. უმაღლესი სასწავლებელნი უეჭველად საჭირონი არიან. საშუალო სასწავლებლები რუსეთში უიალქნო გემებია და საჭიროა მათი რეფორმა. ძალიან სუსტად განვითარებულა სკოლათა გარეშე განათლება. ძალიან სახიფათოა სამინისტროს სურვილი, რომ პროფესორები უცხოეთში მოამზადოს, სკოლის საკითხში ეს ერის საწინააღმდეგო საშუალებაა. საამშენებლო კრედიტები ძალიან სუსტად მოქმედებს. ყველა ამ ნაკლის ფორმულად აღნიშვნა საბიუჯეტო კომისიას არ უკისრნია, რადგან კარგად იცის, რასაც უნდა მოელოდეს ადამიანი ამ საქმის ეხლანდელ მესვეურთაგან (ტაშის ცემა).

**პავლოვიჩი.** არსებულ სკოლებს სარგებლობის მაგივრად ვნების მეტი არა მოაქვს რა. გიმნაზიებში ბევრი გლეხისა და დაბალი წოდების შვი-

ლია. მათში ათი თუ გაათავებს უნივერსიტეტსა, დანარჩენების ამბავს კი გაზეთების ქრონიკაში წაიკითხავთ. რასაკვირველია საშუალო განათლება დიდი სიკეთეა, მაგრამ ახლანდელი სკოლის ნაკლი ძალიან აფუჭებს და მხოლოდ-და ბოროტება მოაქვსო. შემდეგ ორატორი უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორებს შეეხო და ძალიან შეაქო. 17 ოქტომბრის მანიფესტმა პროფესორთა წრეში იმედი დაჰბადა, მაგრამ სინამდვილემ უარჰყო იგი და ორჭოფ მდგომარეობაში ჩააყენაო.

დაგვიანების გამო პავლოვიჩმა სიტყვის დასრულება ორშაბათამდე გადასდო.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდა.

# სახელმწიფო საბჭო

**13 აპრილის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს აკიმოვი.**

სხდომის შეწყვეტამდე კამათი აქვთ პირველ დაწყებით სკოლათა გამო, რომელიც პირველ დაწყებით განათლების დედა ძარღვს შეადგენს.

კომისიის რედაქციით მიიღეს სასწავლებელთა სამაზრო და საგუბერნიო საბჭოთა შემადგენლობისა, მზრუნველებისა და ამ სასწავლებელთა უფლების მუხლები.

სხდომის განახლებისას საბჭომ უარჰყო ყველა შესწორება და კანონპროექტის პირველი თერთმეტი განყოფილება.

**14 აპრილის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს აკიმოვი.**

განაგრძობენ კამათს პირველ-დაწყებით სკოლათა გამო.

პირველი მუხლი ეხება საყოველთაო სწავლის შემოღებას.

**გრაფს ოლსუფიევს** შეაქვს შესწორება, სავალდებულო სწავლება შემოღებულ იქმნეს მხოლოდ სოლქო და სასოფლო საზოგადოებათა თხოვნისამებრ. შესწორებას მიემხრო **სტიშინსკი** და **ტოლი.**

წინააღმდეგნი არიან შესწორებისა: კომისიის თავმჯდომარე იზვოლსკი და ვასილიევი, სასტიკად ჰგმობს შესწორებას **კოვალევსკი,** რომელსაც განათლების მინისტრის თანაშემწე ტაუბე უპასუხებს.

კენჭი უყარეს და ოლსუფიევის წინადადება უარჰყვეს. დანარჩენი მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს.

სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას **კაუფმანს** შეაქვს შესწორება 15 წევრისა. შესწორება მოითხოვს, საჭიროებისამებრ სასწავლებელთა სამაზრო საბჭომ და საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს განყოფილებათა შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტოს რთული საკითხებიო. თუ კრებაზე ვერ შეთანხმდნენ, უნდა მიჰმართონ ობერპროკურორსა და განათლების მინისტრსაო.

**დურნოვო** წინააღმდეგია შესწორებისა, ფაქტიურად იგი სამრევლო სკოლებს აუქმებსო. დურნოვოს სხვა შესწორებ შეაქვს შეერთებულ კრების დადგენილება საეპარქო საბჭოს გადაეცემა, რომელნიც თვითონ გადასწყვეტს საკითხსაო.

კაუფმანის შესწორება უარჰყვეს 74 ხმით 48 წინააღმდეგ. დურნოვოს შესწორება მიიღეს 63 ხმით 58 წინააღმდეგ, შემდეგ საბჭომ უარჰყო მთლად პირველი მუხლი სათაურიანად კანონ-პროექტისა, რომელიც მოითხოვს სასწავლებელთა საზოგადო კანონის სამრევლო სკოლებზე გავრცელებას.

შემდეგი სხდომა მოხდება 18 აპრილს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **„თეთრის ყვავილის დღესასწაული".** კავკასიის ნამესტნიკმა ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამგეობას ნება დართო, „თეთრის ყვავილის დღესასწაული" გამართოს შემდეგს ადგილებში: ტფილისსა, სიღნაღსა, მანგლისსა, აბასთუმანსა, ბორჯომსა, ახალციხესა, ხაშურსა და სურამში.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 14 აპრილს: ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დირექტორი მ. გლუშაკოვი და თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი კ. ბელიაევი.

✦ **სანატორია.** 13 აპრილს აბასთუმანის სანატორიის აგების გამო შეერთებული კრება ჰქონდათ ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამგეობასა და სანატორიის აღმაშენებელ კომისიასა. კომისიის თავმჯდომარემ ნ. ფ. რუდოლფმა კრებას დაწვრილებით აცნობა საქმის გარემოება: სანატორიაში ავადმყოფთა მიღება შესაძლებელი იქნება 1913 წლის ოქტომბრისათვის. ამ ჟამად კომისია ადგენს პროექტს ადგილობრივად აგურხანისა, და წყალსადენის მოწყობისას. ამ დღეებში მოწვეული იქნება არქიტექტორიც. საძირკვლის ჩაყრა მაისში მოხდება და სხ.

✦ **ამბულატორიები ჭლექიანთათვის.** ჭლექთან მებრძოლმა კავკასიის საზოგადოებამ კვირას, 15 აპრილს, სამი ამბულატორია გახსნა, სადაც შემწეობას აღმოუჩენენ ჭლექიანებს. ამბულატორიები გაიხსნა ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოსთან და კუკიისა და ხარფუხის განყოფილებებთან. პარაკლისი გადახდილ იქმნა ცენტრალურ საავადმყოფოსთან დაარსებულ ამბულატორიაში. დაესწრნენ: ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების თავმჯდომარე, ნამესტნიკის თანაშემწის მეუღლე მ. პ. ვატაცისა, სამკურნალო ნაწილის გამგე ფ. ლ. ფეხნერი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი და სხვანი. წარმოითქვა შესაფერი სიტყვები.

✦ **წვრილი კრედიტი.** 1912 წლის 1 იანვარს ტფილისის გუბერნიაში 34 საკრედიტო და 4 შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ყოფილა.

✦ **ტფ. ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ** გუბერნატორმა მიხეილ სულიევი დაამტკიცა, თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევისა.

✦ **ექსკურსია.** ივნისის პირველ რიცხვებში ტფილისის დასავლეთ-ევროპისაკენ ჩამოვა ტვერის გიმნაზიის უფროს კლასების ექსკურსია.

✦ **თავის მოკვლა.** 14 აპრილს პეტროვის ქუჩაზე მცხოვრებმა ივანე ივანეს ძე ვასილენკომ, 28 წლის კაცმა, თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

✦ 14 აპრილს, საღამოს 5 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე ტრამვაის **ვაგონიდან ჩამოვარდა** და მსუბუქად დაშავდა ტრამვაის კონდუქტორი გრიგოლ მკრტიჩიანცი.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 14 აპრილს კარბოლის სიმჟავე დალია ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებმა პაულინა ივანეს ასულმა კარაულოვისამ, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 12 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე ვორონცოვის ხიდიდან ერევნის მოედანზე მიმავალი ტრამვაის ვაგონი № 33 **დაეჯახა** ივანე ფერდინანდის ძე ანდრეასს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა. დაშავებულმა გონება დაჰკარგა. სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 22 აპრილიდან ტფილისში გამოვა ახალი ყოველ-დღიური **რუსული გაზეთი** სახელად „ნოვაია გაზეტა" (ახალი გაზეთი), რომლის რედაქტორადაც მიწვეულია ბუდდან ერეწიანი.

✦ **„ნაკადული".** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" მეშვიდე ნომერი (აპრილისა), მცირეწლოვანთათვის.

✦ **სამართალში მისცეს** სისხლის სამართლის მე-41 ძალით ელიაროვის ქუჩაზე მცხოვრები იაკობ ომიაძე და მზარეული ვასო ჯანელიძე, რომლებიც ხშირად კატებს იჭერდნენ, ნავთს ასხავდნენ და შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ, ან თავში ცულს არტყამდნენ და ისე ჰკლავდნენ.

✦ **გამოფენა** ნებადართულ იქმნა, რომ მომავალ ოქტომბერს ტფილისში ფრინველთა მორიგი (VI) გამოფენა გაიმართოს.

✦ **ვერის ბაღი.** როგორც მკითხველებმა იციან, ვერაზე გაშენებულ იქმნა ახალი საქალაქო ბაღი, რომლის გაფართოებაც საბოლოოდ გადაწყვეტილია. განზრახულია შესყიდვა ბაღის გვერდით მდებარე მიწისა (8,000 ოთხკ. საჟენი), რომელიც ქ-ნს ტურკოვსკაიას ეკუთვნის. ამ საგნის თაობაზე უკანასკნელთან უკვე მოლაპარაკება გამართა ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიის თავმჯდომარე მ. ი. სვეშნიკოვმა.

✦ **კავკასიის საბრეშუმო სადგურთან** 1 ივნისიდან მეაბრეშუმეობის კურსები დაარსდება.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უფროსი გ. ი. მუსელიუსი,** რომელიც ბაქოს და განჯის გუბერნიების საფოსტოსატელეგრაფო დაწესებულებათა დასათვალიერებლად იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ახალი გაზეთი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ნაფიც ვექილის თანაშემწეს იაკობ ცინცაძეს (ია ეკალაძეს), გამოსცეს გორში ყოველდღიური ქართული გაზეთი სახელად „ქართლი". ამ გაზეთის გამოცემა განზრახულია მაისიდან.

✦ **კ. თავართქილაძის გაჩხრეკა.** შაბათს 14 აპრილს, ღამით დამცველ განყოფილების განკარგულებით ჟანდარმებმა დაწვრილებით გაჩხრიკეს მესტამბისა და წიგნის გამომცემელის კოწია თავართქილაძის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა დაბეჭდილი წიგნი.

✦ **ქ. მ. ასულს ქეთევან გვალუკაშვილისას** გუბერნატორმა ნება დართო გაზეთის საშუალებით მიჰმართოს საზოგადოებას და **ნივთიერი დახმარება ითხოვოს.** მას ჰყოლია ოთხი მცირე წლოვანი ბავშვი და დამბლად ჩავარდნილი დედამთილი. ყოველგვარი დახმარება უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით: ტფილისი, რევაზოვის მისახვევი (მეცხრე საპოლიციო უბანი), № 9. თამარა გიგოშვილთან, გარდასაცემად ქეთოსი.

✦ ტფილისში შეიპყრეს ქუთაისის მაზრის სოფ. ოფურჩხეთის მცხოვრები არსენ ივანეს ძე კვიცარიძე, რომელსაც სოლომონ ჯაფარიძის სახლისთვის ცეცხლის წაკიდება ბრალდება და რომელსაც ამის გამო კარგა ხანია დაეძებდნენ.

✦ თოთხმეტ აპრილს ტფილისში ასამდე უპასპორტო შეიპყრეს.

✦ ცამეტ აპრილს უეცრად გარდაიცვალა „სევერნი ნომრებში" მცხოვრები ნიკოლოზ სტეფანეს ძე გალატი 47 წლისა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **საბეითალო საზოგადოების** კრება 29 აპრილს მოხდება. კრებამ, სხვათა შორის, თანამდებობის პირნი უნდა აირჩიოს.

## სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც ახალციხეს იყო წასული სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 13 აპრილს ტფ. სამხედრო-საოლქო სასამართლოს სესიამ ქუთაისში გაარჩია ალექსანდრე სვიმონიძის გამსახურდიას საქმე. სამართალში მიცემული იყო სისხლის სამართლის მე-102 მუხლის ძალით. სახელდობ ბრალდებოდა ეგრედ წოდებულ „აბაშის რესპუბლიკაში" მონაწილეობის მიღება. სასამართლომ ბ-ნი გამსახურდია უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

## სომეხთა ცხოვრება.

✦ კვირას, აპრილის 15-ს შესდგა კრება სომეხ ქალებისა, რომელმაც დაადგინა: გამოსცეს ერთი კრებული ყველა იმ წერილებისა, რომელნიც ამ 40 წლის განმავლობაში დაბეჭდილი ყოფილა გაზ. „მშაკში" ქალთა საკითხის შესახებ. ამასთანავე კრებამ დაადგინა შეუერთდეს აწ დაარსებულ საიუბილეო კომიტეტს და ხელი შეუწყოს „მშაკის" ფონდის დაარსების საქმეს. ამოირჩიეს კომისია ამ საქმის მოსაწყობად: ქ-ნი ფლორა ვარდანიანი ერთხმად და კენჭის ყრით ქ. ქ. ეკატერინე ბაბოვისა, მილოვისა ალიხანიანი და სხვანი.

✦ გაზ. „მშაკის" საიუბილეო კომიტეტმა მიიღო 5000 მანეთი დავით ივან-იუზბაშიანისაგან. ამავე კომიტეტმა 2000 მანეთი მიიღო მიხაელ არამიანცისაგან.

✦ ტფილისის სასამართლო პალატის სესიამ ერევანში გაარჩია სომხის დრამატურგის ემინ ტერ-გრიგორიანის საქმე და მას ერთი წლით ციხეში ჯდომა მიუსაჯა, ერთ პიესის გამო.

✦ განსვენებულ ვიოლონისტის დავით დავითიანის სიკვდილის წლის თავზე, განსვენებულის ნათესავთა და მეგობართა თაოსნობით აპრილის 29-ს, ტფილისის სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიაში და ბათუმში გადახდილ იქნება პანაშვიდი. ტფილისში გამოვა კრებული, რომელშიაც მოთავსებული იქნება ყველაის წერილები, რეცენზიები, რომელნიც დასტამბული იყო სხვა და სხვა გაზეთებში. ამავე კრებულში დაიბეჭდება მისი ვრცელი ბიოგრაფია და სურათები.

✦ გაზ. „მშაკში" (№ 79) დასტამბულია რეცენზია ბ. A ს მომღერალ ქალის ელენე თარხნიშვილის გამოსათხოვარ კონცერტის გამო. რეცენზიის ავტორი დიდის ქებით იხსენიებს ე. თარხნიშვილს და სარაჯიშვილის.

✦ კავკასიის სომეხთა წიგნთ გამომცემმა საზოგადოებამ 500 მ. პრემია დაუნიშნა იმ ავტორს, რომელიც ამ წლის აგვისტოს 20-დე საზოგადოებას წარუდგენს თავის ნაშრომს, სომხურ ბეჭდვით სიტყვის არსებობის 400 წლის ისტორიის შესახებ.

✦ სომეხთა კათოლიკოსის დამტკიცების შემდეგ, კათოლიკოსის მოადგილედ დაინიშნა სინოდის წევრი იუსიკ არქიეპისკოპოს ტერ-მოვსესიანი, ხოლო კათოლიკოსის მდივნად და მეჯავარჯნედ არქიმანდრიტი ბაგრატ ვართახარიანი, რომელიც აწ ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიის ინსპექტორის თანამდებობას ასრულებს.

✦ აპრილის 29-ს, სტამბოლში გადახდილ იქნება ცნობილ მსახიობის ქ. მნაკიანის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

✦ ამ დღეებში ტფილისის სახაზინო თეატრში პირველად ითამაშებს, პეტერბურგის სახელოვნო კურსების დამთავრების შემდეგ ქ-ნი იზაბელლა ქალანთარი, ცნობილ აგრონომის და „მშაკის" რედაქტორ ალ. ქალანთარის ასული.

✦ სახალხო სახლთან არსებულ სომხურ წარმოდგენების მმართველ სექციას დაუდგენია, წარმოადგინოს ხოლმე განსვენებულ **გ. სუნდუკიანის** პიესები. დღეს სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნება მისი „ხაթაბალა". წარმოდგენის შემდეგ აჩვენებენ „პეპოს" ქვეყნის ცოცხალ სურათს.

## ბათომი

✦ **ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა** პოლკოვნიკ რომაოვსკი-რომანკომ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ნამესტნიკს: 11 აპრილს ზღვის ღელვამ ერთიანად დაანგრია ვაჟების გიმნაზიის წინ ჯერ მოუთავებელი სიმაგრე, გიმნაზიის შენობა ტალღებმა დააზიანეს. ჩემი განკარგულებით დღეს მოხდა კომისიის სხდომა ჩემ თანაშემწის თავმჯდომარეობით. კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ შესაძლებელია გიმნაზიის შენობის დაცვა ზღვის ტალღებისაგან თუ ეხლავე ზღვას ნაპირი გიმნაზიის წინ გამაგრებული იქნება; თანახმად წარდგენილ გეგმისა, საჭიროა 36 ათასი მანეთი. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ მუშაობას და ამისთვის იშუამდგომლოთ, რათა პირველად მაინც გამოგზავნილ იქნას 5 ათასი მანეთი მუშაობის დასაწყებად.

✦ **სხდომა,** 12 აპრილს ბათუმის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სექციის სხდომა მოხდა. სხდომამ სასურველად სცნო ბათუმის ოლქში კარგ ნიადაგზე დაყენება ცხვრის მოშენებისა. ამისთვის დაადგინა: გამოწერილ იქნას კარგი ჯიშის ცხვრები:

✦ 14 აპრილს, რკინის თეატრში ქუთაისის ქართულ დასის მიერ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ცნობილი ოთხ მოქმედებიანი დრამა „სიმახინჯე"

შემოსავალის დიდი პროცენტი გადადებულ იქნა ადგილობრივ ქართულ სკოლის სასარგებლოდ.

(„ბ გ")

## დონის-როსტოვი.

✦ ეს ოთხი-ხუთი დღე იქნება როსტოველები აღელვებულნი არიან შემდეგი ამბავით: ამ ბოლო დროს ქალაქში გაჩნდნენ ერთგვარი ნაძირალნი, ველური ინსტიქტებით ამოძრავებულნი. საქმე ისაა ეს ვაჟბატონნი თავიანთ მხეცურ ჟინის დასაკმაყოფილებლად ნემსით ჩხვლეტენ ხელში ქალებს და მეტადრე მოსწავლეებს. უკვე რამდენიმე მაგალითი მოხდა. სხვათა შორის 11 აპრილს ერთ ადგილობრივ ნაფიც ვექილის ქალი, გიმნაზიის მოწაფე, მივარდა სახლში ტირილით, აკანკალებული. რამდენიმე ამხანაგი ერთად მივდიოდით, გზაში ერთი უცნობი ქალი აგვეტორღიალა, გამოგველაპარაკა, რაკი გაგონილი გვქონდა, მაშინვე აქეთ-იქით გავიფანტენით, ის ქალი კი მე ამედევნა და კარებამდე ფეხდა-ფეხ მომყვაო. არ იციან ვინ არიან ეს ბნელი ძალები, ან ნემსი მოშხამულია თუ არა. ფილიპიევის ადგილობრივ საქალებო გიმნაზიის ექიმს მიმართა ამავე გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფემ—აღდგომის კვირას უცნობმა კაცმა ხელში ნემსი მატაკა ქუჩაში და ხელი კარგა ხანი ძლიერ მეწოდაო. ექიმმა ხელში საეჭვო ნიშანი ვერაფერი აღმოაჩინა, ქალი კი იძახის—ხელის საშინელ სისუსტესა ვგრძნობო. დღეს მთელს ქალაქში სალაპარაკო მხოლოდ ეს არის. დიდს შიშში არიან მეტადრე ქალები. კვირაში ორჯელ-სამჯერ გავდივართ სასეირნოდ გარედ და ეხლაც ფეხი უნდა ამოვიკვეთოთ, წუწუნებენ გულნატკენი დიასახლისნი. საქალებო სასწავლებლებშიც გააფრთხილეს მოწაფენი — ქუჩაში ფრთხილად იყავით, დიდხანს სეირნობას ნუ დაიწყებთო.

✦ ეს სამი დღეა როსტოველებს სხვა სალაპარაკო გაუჩნდათ. ადგილობრივ ხაზინის ბუჰგალტერმა სახელმწიფო ბანკის კანტორიდან მიიღო **სახაზინო 150,000 მან.,** მაგრამ თვითონ მიითვისა და მიიმალა. პოლიცია მსწრაფლ ფეხზე დადგა. ამბობენ, ფულის გამტაცებელი უკვე დააპატიმრეს აქვე როსტოვშიო.

✦ მწარედ ყურებ ჩამოყრილნი სხედან აქაური ხორბლით **მოვაჭრენი.** დარდანელის სრუტე დაკეტილია. პური საზღვარ-გარედ ველარ გააქვთ. ზარალი დიდია. სამუშაო შემცირდა.

**შეცდომის გასწორება.**

კვირის ფურცელში შეცდომით დაიბეჭდილი: ლენის მაღაროებში მომხდარ ამბების გამო, როგორც ჩვენ მკითხველებსაც ეცოდინებათ, იმდენად **აღაშფოთა** მთელი რუსეთი" **უნდა იყოს აღშფოთდა.** წერილის ბოლო ფრაზაში გამოტოვებულია სიტყვები **უნდა იყოს:** „მაგრამ ეს ხომ ისეთი სფეროა, სადაც ფანტაზიასა და სუბექტიურ მსჯელობისათვის ფართო ასპარეზია გადაშლილი—მინისტრმაც გაანთავისუფლა თავისი ფანტაზია".

# ლენის ამბავი და სტუდენტთა დემონსტრაცია პეტერბურგში.

## დეპეშები

**ირკუტსკი.** ლენის მადნებში მშვიდობიანობაა. მუშებს ჯერაც არ დაუწყიათ მუშაობა. მათი გადასახლება ნაოსნობის დაწყებამდე გადასდეს. 8 აპრილს ჩერემხოვის ქვა-ნახშირის მადნების მუშებმა ხელ-ფასის მომატება მოითხოვეს და გაიფიცნენ. დამქირავებელნი დასთანხმდნენ და მუშაობა განაახლდა.

**სტუდენტთა დემონსტრაცია.**

**პეტერბურგი.** ნაშუადღევის ორ საათზე ყაზანის ტაძართან სტუდენტები და კურსისტკები მოგროვდნენ, რიცხვით 7 ათასამდე. შეგროვილებმა წითელი დროშაააფრიალეს, დაიწყეს „განუსვენეს ხსენებას" გალობა და ლენის მადნების უბედურების გამო დემონსტრაციის მოხდენას აპირებდნენ. იგინი პოლიციამ ჩქარა გაჰფანტა. პოლიციას ხელმძღვანელობდა პირადად ქალაქის უფროსი. დემონსტრანტთა მეორე ნაწილმა სიმღერით ნევის პროსპექტს მიაშურა და ისიც პოლიციამ გაჰფანტა. წესიერება აღადგინეს. ბევრი დააპატიმრეს.

ნევის პროსპექტიდან კაზენო-ოსტროვისაკენ გაეშურა ხალხი და სარევოლუციო სიმღერებს მღეროდა. ერთ ქუჩის ქიმში დემონსტრანტებს გადაეღობა ჟანდარმერია, ყველანი ერთ ეზოში შეამწყვდია და 123 კაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულია 38 კურსისტი—ქალი, 15 მუშა და სხვა და სხვა სასწავლებელთა სტუდენტები.

# ქუთ. გუბ. მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა

(დასასრული *)

1907 წელს ამხანაგობის გამგედ ნამყოფმა ბ. კ. ჭანჭალეიშვილმა ამხანაგობის აბრეშუმის ჭიის თესლზე საკმაო ფული მოიგო, მის მიერ მოტანილი თესლი კი არა საიმედო გამოდგა, რითაც შესამჩნევი ზარალი მისცა მეაბრეშუმეთ. ამხანაგობის საზოგადო კრების და თითონ ბ. ჭანჭალეიშვილის სურვილითაც ეს საქმე სამედიატორო სასამართლომ გაარჩია. ბ. ჭანჭალეიშვილი დამნაშავედ იცნო ამ საქმეში და მას ფულიც დაადო გადასახდელად, მაგრამ დღევანდლამდე არ გადაუხდია.

წელს ამხანაგობაში მოტანილი თესლი პასხალიდის ფირმისა ყალბი გამოდგა: კოლოფები არის პასხალიდის, მხოლოდ შიგ თესლი სხვისი დამზადებული გამოდგა. კიდევ კარგი რომ ეს დროზე შეამჩნია პასხალიდის ფირმის წარმომადგენელმა და ამხანაგობის მიერ გაცემული თესლი მთავრობის შემწეობით ჩამოართვეს. ხალხმა ამხანაგობაზე გული აიცრუა და საზოგადო კრებებზე, რომელიც ამ ბოლო ხანებში ორ წელიწადში ერთხელ ხდება, გარდა ამხანაგობის გამგეთა დამქაშებისა აღარავინ დაიარება. უკანასკნელი კრება ამხანაგობისა შარშან მოხდა. კრებაზე გამოცხადდა თითონ გამგეობა, მათი ერთგული სარევიზიო კომისია და 2000 ამხანაგიდან 50 კაცი, თითქმის ყველა გამგეობის მომხრე. კრებაზე წაიკითხეს ანგარიში; შემდეგ კრებას მოჰხსენდა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ კომისიას არც ერთი მუხლი ანგარიშისა საქმესთან არ შეესწორებინა. ანგარიშში ნათქვამი იყო რომ 200 ათასი მანეთის ბამბა გვაქვსო, იყო თუ არა ამდენი, ან სად იყო იგი შენახული ან გავზავნილი სარევიზიო კომისიამ არ იცოდა.

ამ კრებაზე წაკითხულ იქმნა აგრეთვე წერილი ბათუმის ერთ-ერთ ბანკის დირექტორისა. ბ. დირექტორი ქებას ასხამდა ამხანაგობის გამგეს, რომ მან იმდენი ნდობა დაიმსახურა ყველასთან, რომ იგი რომელ ბანკშიც უნდა შევიდეს ფულს უთვალავად ენდობიანო, რისთვისაც ურჩევდა კრებას ასეთი კაცი ხელიდან არ აგაეშვათ. ორი თვით მაინც უცილებლად დაეტოვებინათ, რომ ბამბის აპერაციები მის ხელში დამთავრებულიყო. ბამბის აპერაციების დამთავრებას ხალხს დიდი მოგებით ჰპირდებოდნენ, მხოლოდ იმ ორ თვეში როდესაც ეს ოპერაციები უნდა დამთავრებულიყო ამხანაგობის საწყობს, ს. შუამთაში, ცეცხლი გაუჩნდა და გამგეობის თქმით იქ ამხანაგობას 80 ათას მანეთად ღირებული ბამბა დაეწვა, რომელიც მხოლოდ 65 ათას მანეთად იყო დაზღვეული. ამ ნაირად ამ ცეცხლმა ბამბის აპერაციები 15 ათს მანეთის ზარალით დაასრულა. საქმე პროკურორის ხელშია და არ ვიცით, რითი დაბოლოვდება. ამხანაგობის გამგეობა ბამბის აპერაციებისაგან მიღებულ ზარალს ისე დაუდარდიანებია, რომ იგი წელს ამხანაგობის საზოგადო კრების მოწვევას აღარ აპირებს. ერთ სარევიზიო კომისიის წევრი, რომელსაც დავიწყებია, რომ მას სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე, ხელი აქვს მოწერილი, გაზ. „კოლხიდაში" აცხადებს წელს, რომ მე მცირე რიცხოვან კრებისაგან ვყოფილვარ არჩეულიო და სარევიზიო კომისიის წევრად აღარ მიგულოთო. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთ I ამხანაგობისა, რომლის არსებობას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრებაში და რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო გაძვალ-ტყავებულ სოფლის გლეხობისათვის. მაშინ როდესაც კოოპერატიული ამხანაგობანი დიდის ნაბიჯით წინ მიდის სხვაგან, ჩვენში ასეთი ამხანაგობანი დაუდევარი ხელმძღვანელობის მიზეზით ბევრი გაჰქრა და არსებულნიც გაქრობისაკენ ექანებიან. ამაში დანაშაულობა უფრო მეტად ხალხის მოწინავე ნაწილს მიუძღვის, ვინემ თითონ ხალხს, რომელიც დიდ ნდობას უცხადებს ყველა კეთილ მოსურნეს, მაგრამ ეს მოსურნენი ვერ ამართლებენ მათს ნდობას. ძლიერ დამაფიქრებელია ჩვენთვის ეს გარემოება და საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. კერძოდ მეაბრეშუმეთა I ამხანაგობისათვის უნდა ვთქვათ, რომ საჭიროა ამხანაგობის საქმეებს ყურადღება მიაქციოს ქუთაისის წვრილ კრედიტის საგუბერნიო კომიტეტმა.

განი-

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 567.

# დაბა ონის აბ-ჯარში

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის უსამართლობა, რომელიც ხდება ჩვენს დაბაში საბაზრო ადგილების გამო. ხაზინას აქვს ონში პატარა ნაჭერი ადგილი, სულ არ იქმნება 40 ოთხ-კუთ. საჟენი, რომელიც არის იჯარით გაცემული ცხრა თუმნად წელიწადში. ეს ადგილი იჯარით აქვთ აღებული ყასბებს. კვირაში ერთხელ, ბაზრობის დღეს, გამოაქვთ ხოლმე ხორცეული. ამ ადგილს აკრავს ბაზრის დეპუტატ დ. კერესელიძის ახლად შეძენილი ადგილი. დეპუტატმა კერესელიძემ თავისი ნებით, ბაზრის დაუკითხავად ამ სახელმწიფო ადგილიდამ ყასბები თავის საკუთარ ადგილში გადიყვანა. რაღაში იხდის ბაზარი ხაზინის სასარგებლოდ საიჯარო ცხრა თუმანს? ბაზრის შემოსავალი ძლივს აკმაყოფილებს განათებას და სისუფთავეს. სხვა გარდასახადები, როგორც მაგ. ბოაქაულის და ჩაფრების ჯამაგირი—1000 მანეთი, ღამის ყარაულებისა 600 მანეთი, და სხვა ხარჯები კისრად აწევს ბაზარს. ბაზარს აქვს ფართო მოედანი, რომელშიაც შეიძლება გაკეთდეს „ბუდკები" და იჯარით გაიცეს. აქვს

საქოვარი მინდორი მოშორებით, რამოდენიმე ქცევა, რომელიც დღეს უყურადღებოდ არის მიტოვებული, შეუღობავია. შეიძლებოდა ისიც გაცემულიყო იჯარით და არა ერთსა და ორს თუმანს შესძენდა ბაზრის გამოცარიელებულ კასსას. აქვს აგრეთვე რიყე საქონლის დასაყენებლად და კიდევ ბევრი სხვა წყარო შემოსავლისა, მაგრამ მცოდნე და გამოცდილი კაცი არ უდგია სათავეში, და ბაზრის საქმეც რიგზე ვერ მიდის. ბაზრის კასაც თან და თან ცარიელდება.

საჭირო არის, რომ ყოველივე ამ უკანონო მოქმედებას დროზე მიექცეს ყურადღება; მოისპოს ის თვითნებობა, უსამართლობა, რომელიც საჭიროთ მიგვაჩნია, რომ ყოველ წლივ ირჩევდნენ ხოლმე მცოდნე კაცებს მაზრის შემოსავალ-გასავალის შესამოწმებლად. ეს საჭიროა, როგორც ბაზრის გამგეთათვის, ისე თვით ბაზრის საქმისათვისაც.

**ლ—ძე.**

# პროვინციელის შენიშვნები

თუ ტფილისის მოუსვენარი ცხოვრება მოსაწყენია, სამაგიეროდ პროვინციის ერთფეროვანი დროს ყრუდ მსვლელობა მოსაბეზრებელია. ამისათვის ვიშოვე ერთი ამხანაგი და გადავწყვიტეთ სადღესასწაულოდ თელავი დაგვეტოვებინა. ყოველდღიურ ოჯახის მზრუნველობისთვის თავი დაგვენებებინა, გავცლოდით შინაურ ფუსფუსს და ტფილისის ზეზეურად გამმართობელ-მხიარულ ცხოვრებაში გავთქვეფილიყავით. მართლაც გავემგზავრეთ ტფილისისაკენ, მშვენიერი გაზაფხულის ბუნება, ამწვანებული ტყე და მთის კრიალა ნაკადულები თავისკენ გვიზიდავდა მგზავრებს, მაგრამ გზაზე დილიჟნებში ისე დავიტანჯეთ, რომ არა თუ ბუნების სიმშვენიერე, ვახტანგ-გორგასლანს უკმაყოფილებაც-კი გამოუცხადეთ, თბილისი რომ არ დაეარსებინა, ეს შეწუხება აგვცდებოდაო.

მეორე დღესვე გავემგზავრე კახეთის რკინის გზის ბედის გასაგებად, რადგანაც თელავში ხმა გავრცელდა, რომ დიდი ხნით კიდევ გადასდესო; საბედნიეროდ ეს ხმები სიცრუე გამოდგა. მოსამსახურეთა ერთი წრე უკვე გაემგზავრა ს. ბაკურციხეში, თელავისკენ აპრილის ნახევარში წავლენო და მასსობრივი მუშაობაც მალე დაიწყებაო.

თბილისში პროვინციელის ყურადღებას ძალაუნებურად იპყრობს ეს აუარებელი ღვინის სარდაფები და საწყობები, რომლებსაც **კახური ღვინო** აწერია ყველგან, მაგრამ ერევნის და ქურდამირის ღვინოს კი ასაღებენ კახურის სახელით. ეს რომ ასე არ იყოს და ყველგან მართლა ჩვენებური ნამდვილი ღვინო იყიდებოდეს, მაშინ კახეთის ვენახების სივრცე ერთი ხუთად უნდა იქცეს და მისი ფასი ასე დაცემული არ იყოს.

ამასთან ბევრ სარდაფებს კახელ თავადიშვილების ჭავჭავაძეების, მაყაშვილების, ერისთავების და სხვა გვარები აწერია. უცხოს ეგონება, მთელ თელავის თავად-აზნაურობას ღვინის ვაჭრობისთვის მიუყვია ხელიო, მაგრამ ეს ხომ რეკლამაა, ამით ვაჭრობას სახელს უკეთებენ, ვითომ იქ მარტო ამ თავადიშვილების საკუთარ მამულების ღვინო იყიდება.

კახელი კაცი თბილისში რომ ჩავიდეს და ნეტარ-სახსენებელ ილიას საფლავი არა ნახოს, რაღაც ცოდვად მიმაჩნია და აკი ამისათვის გავეშურე მთა-წმინდისაკენ, თუმცა ამ 3—4 თვის წინედაც მამადავითის აღმართზე ქშინვით მივდიოდი. მეგონა დიდებულ მამულიშვილის გვამზე აღმართული ძეგლი მზად იქნებოდა და უხშირებდი ნაბიჯს, მაგრამ მოვტყუვდი, ძეგლს ჯერ-კიდევ ბევრი რამ აკლია და ვინ იცის როდის ეღირსება დამთავრება...

ნეტა განსვენებულ ზუბალაშვილების სურათის საქმე მაინც არ დაემართოს ამასაც. შარშან ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ბევრი ვეძებე ამ ქველმოქმედთა სურათი და რომ არსად სჩანდა ერთ გამგეთაგანს შევნიშნე ეს გარემოება, რაზედაც მიპასუხა—თქვენ მართალი ხართ, პეტერბურგში გვაქვს შეკვეთილი და მალე მოგვივაო. ეხლა ხელმეორედ ვათვალიერე, მაგრამ ბევრ სხვა და სხვა მოღვაწეთა და მწერალთა სურათებ შორის, რომლებიც დარბაზს ამშვენებენ-კიდევ ვერ ვიპოვე მათი სურათები... ალბად-კიდევ არ მიუღიათ... ან ჯერ არ შეუკვეთიათ...

პროვინციელი ტფილისში სცდილობს ყველგან წავიდეს, ყველა ნახოს და მეც ახალ კლუბიდან დავიწყე, ერთხელ რომ ქართულ კლუბს ეძახდნენ, მაგრამ იქ ის დამხვდა, რაც თელავში მეჯავრებოდა — ლოტობანქო და მეც საჩქაროდ თეატრში გადმოვედი. აქ ერთხელ ქეთევანი გააწამეს ჩვენმა არტისტებმა, ხოლო ჩიტები ისე გაუგებრად აჭიკჭიკეს (26 მარტს) რომ მეექვსე რიგზე ვერაფერი მესმოდა მართლა ჭიკჭიკის მეტი, თუმცა სმენას ჯერ არ უღალატნია ჩემთვის, მაგრამ ამას ვინა ჩიოდა, აქეთ-იქიდან ისე უბერავდა ქარი, არ ვიცი ბუნებრივი იყო ეს, თუ ხელოვნური, რომ თუ გეინეს აფთიაქი არა, იქნება „მეფე ედიპი“ ველარ მენახა, როცა (ამ წარმოდგენის დროს) თქვენი ოცნება შორს—რამდენიმე საუკუნის უკან გადადის და დიდებულ ვიზანტიაში გრძნობ თავს, როცა თქვენ წინ აღმართული ძველი სტილის სასახლე, თავისი უზარ-მაზარი სვეტებით და თუმცა კლასიკურ პიესების მოქმედებად დაყოფილ და ანტრაქტებს შეჩვეულს ცოტა გეხამუხებათ, რომ ერთ მოქმედებად თავდება და მეც ჩემი გაკვირვება „სახალხო გაზეთის“ რეცენზენტს გადავეცი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვბრუნდებით და ეს სიამოვნება ორკეცდება, რომ ეს პიესა დადგმულია ჩვენი თანამემამულე ბ. კოტე მარჯანიშვილისაგან, იგი კახელია და თითქოს მეც თავი მომქონდა, მაგრამ უნებურად მომაგონდა კრილოვის ერთი იგავ-არაკი და საჩქაროდ დავტოვე სახაზინო თეატრი.

**დავიწყებული.**

# ჩინეთის რესპუბლიკა

### დეპეშები.

**შანჰაი.** ჩინეთის მთავრობამ სკოდის ქარხანისაგან ხუთი მილიონი მანეთი მიიღო და სხვა ქარხნებისაგანაც მოელის წინდაწინვე ფულსა.

**მუკდენი.** ანდუნიდან იუწყებიან: ჩინეთის პოლიცია იაპონიის გემს თავს დაესხაო. ჩხუბი იაპონიის პოლიციას მოუსპია.

**კულჯა.** მთავრობა ძალიან სცდილობს პანსუნსიძიანის პროვინციას ილიის მხარე ჩამოაშოროს. პრეზიდენტს ჰუანს ნებას არ აძლევენ სამსახურიდან გადადგომისას.

**პეკინი.** 16 აპრილს დიდის ამბით გაჰხსნიან სათათბირო საკრებულოს, რომელსაც პრეზიდენტი და კაბინეთის წევრები დაესწრებიან.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**რომი.** „სტეფანი“ კვლავ ყველას არწმუნებს, დარდანელის ზარბაზნის დაშენის დროს არც ერთი იტალიელი გემი არ დაზიანებულაო.

**ბუშამეცი.** უკანასკნელ ბრძოლაში ოსმალებმა ძალიან ბევრი ხალხი დაჰკარგეს. ეტყობა, ოსმალებს სურდათ იტალიელნი ზღვისაკენ უკუექციათ. იტალიელები გამარჯვებას ძალიან გაუმხნევებია.

**ლონდონი.** ოსმალეთის მთავრობას დარდანელის საკითხი ჯერაც ვერ გადაუწყვეტია. ამბობენ ჩქარა გადასწყვეტსო.

**ვენა.** „ნეიე-ფრაიე-პრესეში“ დაბეჭდილია ქილიმი-ფაშის ნათქვამი. ქილიმი-ფაშას უთქვამს: ვიდრე ტრიპოლიში არ დაგვამარცხებენ, ზავი შეუძლებელიაო. სანამ ჩვენს უძლურებას არ დაამტკიცებენ, ვიბრძოლებთ, რადგან 12 მილიონ არაბთა დაკარგვა ადვილი საქმე არ არისო.

**რომი.** იტალიელებმა ორი როტა გადასხეს კუნძულ ასტროპალიაზე და ლივადიის ქალაქის გარნიზონს ალყა შემოარტყეს. ოსმალნი დამორჩილდნენ.

# არეულობა სპარსეთში

### დეპეშები

**თავრიზი.** აგარიდან იუწყებიან, ხოჯადინელებმა სოფელი კიშლაკი აიკლესო. ძარცვა-გლეჯა ძლიერდება. გუბერნატორი შაჰსევენებთან ვერაფერს გამხდარა, სადარაჯოდ სარბაზთა პოლკი ჩამოვიდა.

**არდებილი.** კაპიტანს მასლოვსკის შაჰსევენები თავს დაესხნენ, ერთი საათის განმავლობაში სროლა არ შეწყვეტილა. რაზმის უფროსს გენერალ ფიდროვს კაპიტანისათვის ჯარი მიუშველებია. შაჰსევენები გორაკებს ამოჰფარებიან და გამაგრებულან, შვიდი საათის განმავლობაში ბრძოლა არ შეწყვეტილა. შაჰსევენები დამარცხდნენ. რუსებში დაჭრილია ლაბინის პოლკის მედროშე ბაბიევი, მოუკლავთ ორი ყაზახი, მძიმედ დაუჭრიათ 2, მსუბუქად—6. შაჰსევენებისათვის ას კაცამდე დაუჭრდაუხოციათ, მოკლულთა შორის ბელადი შუქურ-ხანი და ორი მისი შვილი ყოფილა.

**თეირანი.** მთავრობა დემოკრატთა პარტიის დაპატიმრებასა და გადასახლებას შეუდგა, რადგან რუსეთის მთავრობამ სარევოლუციო მოღვაწეებს რეშტის ამბებში მონაწილეობა დააბრალა, მისსავე მოთხოვნილებით სერდარ-მოჰსა და ქერიმხანს აეკრძალათ გილიანს შემოსვლა.

**თავრიზი.** მიანეჯს მოივიდა თეირანიდან გამოქცეული სერდარ-ხანის შვილი შაჰსევანი. ოსმალეთის საკონსულოში შეხიზნული ფიდაები ოსმალეთს მიემგზავრებიან. გუბერნატორის ბრძანებით, საჯაროდ ჩამოახრჩეს არდებილის თავზარ-დამცემი ყაჩაღი უნუსი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

15 აპრილი.

**საზონოვის სიტყვის გამო.**

**ბერლინი.** პრესა ძალიან დაწვრილებითა და ბევრსა მსჯელობს საზონოვის სიტყვის გამო. გაზეთები აღნიშნავენ საზონოვის სიტყვის მშვიდობიან კილოსა და განსაკუთრებით მის ოპტიმიზმსა. საზონოვს დაუკმაყოფილებია პრესა სპარსეთის საქმეების გამო მიცემულ განმარტებითაც, მაგრამ ზოგ გაზეთს ძლიერი ოპტიმიზმი მინისტრისა არა სჯერა.

**ბუდაპეშტი.** საზონოვის სიტყვამ ჰუნგრეთის პრესაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოდ ჰუნგრეთის პრესა რუსეთს მეგობრადა სთვლის. ყველა გაზეთს მომენტის შესაფერად მიაჩნია საზონოვის სიტყვა.

**რომი.** იტალიელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზონოვის განცხადებამ, დაწყებულ შუამავლობაზე აღარ ავიღებთ ხელსაო.

**ქურთები.**

**ურმია.** ქურთების აჯანყების გამო სტამბოლიდან ბრძანება მოსულა, მოსაზღვრე ქურთების სიის შედგენას თავი დაანებეთო. ქურთების დასამშვიდებლად გაგზავნილი კაიმაქამი სულდუზს დაბრუნდა.

**ხორვატელთა მდგომარეობა.**

**ზაგრები.** ბელგრადში ხორვატელთა სტუდენტების ჩასვლის გამო გამართულ დემონსტრაციების გულისათვის, მეფის კომისარმა ხორვატელთა საოპერო თეატრს აუკრძალა ბელგრადსა, სოფიასა და დალმაციაში საგასტროლოდ წასვლა.

**რ უ ს ე თ ი**

**გაზეთების დაჭერა.**

**პეტერბურგი.** გაზეთ „გროზას“ რედაქტორს ქალაქის უფროსმა ხუთასი მანეთის ჯარიმა დაადო.

დაიჭირეს „ზვეზდა“-ს ნომერი და რედაქტორი სამართალში მისცეს.

# თეატრი და ხელოვნება

ჭიათურა. ხუთშაბათს, 12 აპრილს ჩვენმა დასმა ითამაშა ვალ. გუნიას 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა: **და-ძმა.**

წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს ერთი რეპეტიციით იყო ნათამაშევი.

მშვენირი გაიოზი იყო ახალგაზდა მსახიობი აპტალიძე.

კარგი იყო ქ-ნი ლოლუა მარინეს როლში. ნამდვილი მეგრელი ოტია იყო ბ-ნი შალიკაშვილი. ოტია ეს მისი როლია. მან თითქმის უნაკლოდ და სავსებით გადმოგვცა ოტიას სულიერი მდგომარეობა.

ასეთივე კარგი იყო ადამიას როლში ბ-ნი ს. ტარუაშვილი.

მოხდენილი მოხუცი გადია იყო ქ-ნი ჯავახიშვილი.

ამ კვირას ითამაშებენ „პირველ მერცხალს“.

**ბაი—შვილი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ს. გურჯაანის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოსთვის ბუნდოვანი სურათების საჩვენებლად საჭირო ფარნის შესაძენად თავიანთი წვლილი შემოსწირეს: 15 მ. კნ. ანასტასია ანდრონიკაშვილისამ, 5 მ. თავადირაკლი ანდრონიკაშვილმა, დ. ჯავახიშვილი, თავ. ივანე ჯორჯაძე. 3 მ. ნ. იაშვილი, ტ. ხაჩიძე, გ. სარაჯიშვილი, კნ. ელენე ანდრონიკაშვილისა, ქ. ანნა ჯიბლაძისა, მღვდ. ვ. ციბალაშვილი, თავ. დიმიტრი ჩოლაყაშვილი. 2 მ. ა. არანოვიჩი, ქ. ევა ნატროშვილი, თავ. ნიკოლოზ ჯანდიერი; 1 მ. 50 კ. თავ. ლევან ფავლენიშვილი. 1 მ. კნ. ანნა აბაშიძისა, თავ. ალექსანდრე ჯორჯაძე, მ. ნასიძე, მღვდ. გ. ქანტურიძე, ალ. ჩიტოშვილი, ქ. ნინო ჯალიაშვილი. 50 კ. ქ. ესფირი ხვოსტოვსკაია, თავ. ასული ელისაბედ აბაშიძე, ქ. ანასტასია ალხაზაშვილი და ალ. კახაბრიშვილი 66 მ. 50 კ.

გამგეობის მონდობილობით **დ. ჯავახიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადაუხადოთ პეტერბურგის პსიხონევროლოგიურ ინსტიტუტის ქართველ სტუდენტების სახელით მღ. მელიტონ კელენჯერიძეს, რომელმაც „ქართულ ფილოლოგიურ წრის“ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირა თავისი ნაწარმოებნი. (ათი წიგნი).

„ქართულ ფილოლოგიურ წრის და სათვისტომოს გამგეობათა მდივანი **ლევან ტ. ბაქრაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ь, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** ) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ, 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. ‧ ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულნი იმ დღესვე ინახულონ ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

### გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

# განცხადებანი


## შემთხვევით — იყიდება

სამზარეულოა თავის სასადილოთი, ავეჯეულობით და ფირმით. ნიკოლოზის ქ. № 41. (2.369.1).

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ქვირითი 2 მ. 60 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, ს[illegible]ლიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—39)

## ექიმ ნავასარდიანის პირველ-[illegible] სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**606“** — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი;** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორიბ. **ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.59)

## სატეხნიკო საქმეები:

გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვები, (პროექტები და სმეტები სადაც საჭიროა დამტკიცებით); ყოველგვარ შენობების აგება, გადაკეთება, სასმელწყლებისა და სარწყავების გაყვანა, გამოანგარიშება სამუშაოებისა.

ადგილების გეგმის აღება, დამიჯვნა, დაყოფვა, დაზომვა. შედგენა საქმის ქაღალდებისა, მამულების დაზღვევა და დაგირავება.

**ვერის დაღმართი**, № ტელეფ. № 691.

(7.370.9) **წერილობით**—Технику Ніорадзе.

## ქ. გ ო რ შ ი (ბედაბეთის მიდამოში) იყიდება ან იძლევა იჯარით

მშვენივრად შემოზღუდული ორი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომით ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეულ მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათონე—მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ა თ-ძე მიროტინს, გორში**—ფოტოგრაფ **ქარუმიძეს.** (10.3;9.10)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

## ხელოვნურად შეზავებული სამკურნალო და ხილეულოვის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ.სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411, ქუთაისში პუშკინის ქუჩა № 5.**

(25.1160.10)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

არჩილ მეფე. ცხოვ. მეფე თეიმურაზ პირველისა . 50 კ.
ბარათაშვილი. ლექსები. გამოც. მერკვილაძისა . . . 40 „
ბაჩანა. დიაკვნიანი . . . . . 20 „
ბესიკი. ლექსები . . . . . 30 „
განდეგილი. ლექსები . . . 50 „
გრიშაშვილი. ოცნების კოცნა 10 „
გურამიშვილი. დავითიანი . 1 მ. „
გურიელი მამია თხზ. . . . . 1 „ „
დადიანი ნ. ტ. საამდროვო გამოცანები . . . . 15 კ.
დუტუ-მეგრელი I . . . . . 70 „
„ მწარე ფიქრები . . . 20 „
ევდოშვილი ლექსები . . . 60 „
ერისთავი რაფიელ I ტ. . . . 1 მ. „
„ „ II ტ. . . . 40 კ.
ვეფხის ტყაოსანი . . . . . 60 „
ვაჟა-ფშაველა. თხზ. . . . . 1 მ. „
„ ახუნდი . . . . . . 5 კ.
„ ცრემლები . . . . . 50 „
თეიმურაზ მეფის ლექსები . 30 „
ორბელიანი გრ. ლექს. . . . 20 „
ორბ. „ ვახტანგ . . . . 60 „
„ ნინო . . . . . 30 „
„ოჰ, მარგალიტავ“ ნ სხ. სასიმღ. 10 „
პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა. . . . . 15 „
პოემების კრებული. . . . 5 „
რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი. პოემა . . . . . . 15 „
სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1. . . . . 20 „
„ ცხოვრ. სურათები № 2. 20 „
„ ალსარება № 3. . . 5 „
„ ლექსები 1878—1891 . 50 „
„ სიმები . . . . . 5 „
ქართვ. პოეტ. რჩეული ლექსები 25 „
ჩახრუხაძე. ქნარი . . . . 20 „
შანშიაშვილი. შვების თავადი 60 „
„ ქება-ქებათა სულამიტ. 10 „
ცახელი. რავდენიმე ლექსი . 15 „
ცისარტყელა. სალიტერატურო კრებული. . . . . 15 „

ადრესი: Гифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—27)